



ილორი

www.ilori.ge



№ 73 (134) 29 ივნისი 2010

სახალხო

მოკრატობა

“სამეგრელოს“ ორგანო

30 თეთრი

ქუთაისი - კოლხური ვითოლოგიის გმირი

7

**ფრთხილად ქართველებო!
ანუ - სტუმართმოყვარეობა
ზოგჯერ სახიფათოა!**

8

დავით შოთაძე
კობლენცი, გერმანია

ბაზეთი "ილორი" შედგება რუბრიკას "მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები"



ჯორჯ ბესტი
ფრანც ბინდერი (ბიზო)
დენი ბლენფელდერი

12



**მებრძული
პოეტი
რეზისტენცია**
კოეტი
ლაშა
ბახარია

5

პრუსიელი მკითხავი

3 რაფიელ გელანტია

გორში სტალინის ძეგლი აიღეს!

მაინც მიაღწიეს საწაღელს ნაციონალუბმა და მათმა ბელადმა სააკიანმა – 25 ივნისს, ღამით, შურდულად, რამდენიმე სპეციალურად მიყვანილი ნაციონალის "ტაშის" ბრძანებით აიღეს გორის ცენტრში წამოგართული სტალინის ძეგლი!

არა და, როგორ არ ეშვებოდა ეს უღელური პოლიტიკური მღიღები ისტორიის უღიღეს მოღვაწეს: ჯერ იყო და ნიკიტა ხრუშჩოვმა, ღამით, შურდულად გამოსვლას სტალინის ნეშტი მაგვოლეუმიდან, ახლა კი, 49 წლის შემდეგ, ზუსტად იგივე ბაიბოროს ქართველმა ნეოგოლეუმიდან ნაციონალუბმა: ჯერ კიდევ 2008 წლის აპრილის პროვოცირებული ომისას შეაქლიეს მათ რუს ოცივრებს 50.000 დოლარი სტალინის ძეგლის აწვეთებაში და საწაღელს რომ ვერ მიაღწიეს, შურდულად გააშორეს ქალაქის ცენტრს ჯეშმარტი ბელადის ძეგლი.

ამით ნაციონალუბმა და სააკიანმა ორი კურდღელი დაიჭირეს: უპირველესად, შეასრულეს მათი მთავარი დამზინანებლის, სტალინის მოკვლე ურია სოროსის დავალება, და რაც მთავარია, საზოგადოების ყურადღება გადაიტანეს ოგამა-მედვედვის შეხვედრის შედეგებიდან, სადაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ამერიკელებს საქართველო სულაც შეხეზა ჰკიდიან და არც მისი საერთაშორისო იოლაციეში ყოფნა აღარდებთ დიდად. მიუხედავად ზოგიერთი ვგრილმანი უთანხმოებისა, რუსები და ამერიკელები ისე მორიბდნენ ერთმანეთში, რომ "საქართველო" მხოლოდ მარბინალურ ასაქტში მოიხსენიეს.


როგორც იტყვიან, საქართველოში სომხური კაღლები იყვებოდა, ქარავანი კი შეუშვებლად მიიწვეს წინ!

ბაზეთის შემდეგ ნომერში წარმოგიბგენთ ვერძის იმის თაოგაზე, თუ რატომ ებრძვიან ასეთი მონღოგებით ქართველი ნაციონალუბი და მათი "ბელადი" მიხეილ სააკიანი იონებ სტალინის აჩრდილს!

რატომ იყვრება რეზო ჩხეიძე მოსკოვში?



6



როლანდ ჯალაღანია

10

მებრულო პოეზიის რაფსოდია

გაზეთი "ილორი" აგრძელებს ლექსების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ქართველი პოეტის ლაშა გახარიას წიგნიდან "ირიათონი" (ბექელია-ნაბორდიშა).

მარა იშენ ვემზაგორუ,
თოლწკურვილცხ თოლქ მუმართო,
სო – ფულუ დო სო – შურენცხ,
მუ ღურუმცხ ინომართო?!

ვართ ეშე რე, ვართო – გიმე,
ტყურელი რე წემე ჯინა,
იშენ სო რე თე ხვამელი, –
მუშენ ვანჭუ თოლ დო ნინა?

ღორონთ, ღურუში აბარწაშე
ქუმაცალი გინოჯინა,
მური თოლო დობლანტიდა...
სახელი ვარა ქვდიფჩინა!

ყოროფაშა მის გაგინე,
მუ ზიმუნცხ იშ დონესე?!
ბრელ იწვალეს მენცარეფქე,
მარა... იშენ მიღორესე.

ანდანერო უჩირკესე,
ოშ სახელი მიგონესე,
ამდღარ დღაშა ვაწიქუნა,
ტყურათ მუ ჭა ინკორესე!

ვეწვალათ, მენცარეფი,
ვეგნირთათგ დაძიცალო,

სოლე მურცუ ყოროფანი...
ვაგეგინე ძათანძალო,

მუშ შარაშა მიაშქვითო –
ვეგიაბინათ ყორყელც ძვალო,
ლაგვანიშ ქვინჯ მუს ალებე
ყუმენული მაჭარცალო?!

ღორონთქ თიშენ უხუტოლე
ართიანცხ ძრახ დო ბოში –
ჭარაშ მაჭარ მადგინგდ,
ჭე შხვანერი უღუდ ხოში!

მა, ეგება, ფჩვირთგქვდა,
(ქუმმოფორეთ ნოყორც ნორში),
მარა, ინა ვაჩირთგდ,
გოლუაფირო იშ ოროში.

ვართ ჩგლათე: მუ მიჭარე
გურც გოფალირ ყოროფაშა!
ვაართ ოშქურუ გოლოფაშა
დო ვართ ხოლო ჭოროფაშა!

კოთაკონკის მულუნცხ,
ქიმიადღა დუღქუ ჯაშა,
ღურის ხოლო ვაწარინე
თე ღორონთიშ ჭყოლოფაშა!

მაგრამ ველარ მივაკელიე,
ბრმას თვალეზი ამიჭრელდა,
მაინც სად არს ჩაფლული და
რა მორევი ჩახვეულია?!

არც მალაა და არც დაბლა,
წინ გახედვაც ამაოა,
მაინც სად არს დალოცვილი,
რად არ წვდება თვალი, ენა?

ღმერთო, შენო აივინდან
დამაცადე გადახედვა
და თუ სადმე დავინახე
სახელს მაინც გეტყვით მისას.

სიყვარულს ვინ რას გაუგებს,
ვინ გაზომოს ძალა მისი.
სწავლულებმაც ბევრი ცადეს
მოიტყუეს თავი თვისი.

ბევრი ჩხრიკეს, ბევრი წერეს,
რა სახელი არ დაარქვეს,
დღემდე მაინც არ იციან,
სულ ტყუილად ცოხნეს ჩალა.

ნუ იწვალეთ სწავლულებო,
ნუ გახდებით დასაცინი,

ის საიდან მობრძანდება
ვერ გაიგებთ, ძალისძალად.

ის თავისი გზით გაუშვით,
ყელში ძვლად ნუ დაადგებით,
ქვევრის ფსკერსა ვინ დაივლის
მოწყურებულ მაჭარივით.


ღმერთმა მიტომ შეაწყვილა
ერთმანეთსა გოგო-ბიჭი.
ბედის მაჭარს დაეწაფა,
სხვანაირი ჰქონდათ ხათრი.

იქნებ ვცდები, მაშინ ყველამ
ამაფარეთ პირზე ხელი,
მაგრამ ის არ შეცდებოდა.
შემოვევლე მე ჩრდილს მისას.

არაფერი შეედრება
გულში გაშლილ სიყვარულსა,
არც გვალვისა ეშინია,
არც ჭოროფას უშინდება.

კენწერომდე მოქცევა
თუ კი ხემდე მიაღწია.
სიკვილიც ვერ დაუდგება
მალად ღმერთის ამ წყალობას.

INFO INFO INFO INFO INFO INFO



ინდოეთში რადიაციით 55 ადამიანი მოიწამლა

ინდოეთში ატომურ ელექტროსადგურ „კაიგას“ თანამშრომლებმა სასმელი წყლის ავტომატიდან დასხივება მიიღეს. სადგურის რეაქტორიდან რადიაციის გაფონვა არ დაფიქსირებულა, გარემოსა და ხალხს საფრთხე არ ელის. სპეციალური შემოწმების შედეგად ირკვევა, თუ როგორ მოხდა სასმელ წყალში წყალბადის რადიაციური იზოტოპი.

რადიაციური დონის მომატება მთელ რიგ თანამშრომლებს ჯერ კიდევ 25 ნოემბერს ჩვეულებრივი შემოწმების დროს გამოუვლინდა. შემდგომში გამოძიებამ აჩვენა, რომ ამის მიზეზი ერთ-ერთ ავტომატში წყლის მოწამვლა გახდა. როგორც ინდოეთის პრესა იუწყება, ამ ავტომატიდან წყლის დაღვების შედეგად 55 ადამიანი დაზარალდა. ინდოეთის ატომური ენერჯის კომისიის ყოფილმა ხელმძღვანელმა ანილ კაკოდკარმა ტელეენ-ტერვიუში აღნიშნა, რომ ყველაფრის მიზეზი სადგურის ჯერჯერობით უცნობი თანამშრომლის „მაგნებლობა“ გახდა.

ატომურ ელექტროსადგურ „კაიგაში“ 220-მეგავატისანი სამი ენერგობლოკი მუშაობს, მეოთხის ექსპლოატაციაში გაშვება უახლოეს მომავალში იგეგმება.

კუბა ამერიკის მობერიებაში ვარჯიშობს

კუბაში გაიმართა სამხედრო სწავლებები, რომელთა მიზანაც აშშ-ის მხრიდან შესაძლო აგრესიის მოგერიება იყო. მანევრებში ათასობით ადამიანი მიიღო მონაწილეობა.



ილობა, მათ შორის იყვნენ როგორც სამხედრო მოსამსახურეები, ასევე სამოქალაქო პირები. ეს 2004 წლისა და ფიდელ კასტროს კომანდანტოებიდან გადაღობის შემდეგ ყველაზე მასშტაბური სამხედრო სწავლებები იყო, რომელზე დასწრების უფლებაც უცხოელ პურნალისტებს არ მისცეს. სახელმწიფოს მეთაურმა და შეიარაღებული ძალების უმაღლესმა სარდალმა რაულ კასტრომ ქვეყნის ჯარის საბრძოლო მზადყოფნასთან დაკავშირებით კმაყოფილება გამოთქვა. კუბის ხელისუფლება აცხადებს, რომ რესპუბლიკა მზად უნდა იყოს აშშ-ის მხრიდან შესაძლო აგრესიისთვის. თეთრი სახლი ამ მტკიცებებს აბსურდულს უწოდებს და ბოლო დროს ვაშინგტონსა და ჰავანას შორის გაუმჯობესებულ ურთიერთობებზე ლაპარაკობს. კუბის ჯარი საყოველთაო საჯარო ვალდებულების საფუძველზე ვალდებულია. ჯარში გაწვევა 17 წლის ასაკიდან იწყება და მსასურება 3 წელს გრძელდება. გარდა ამისა, ქვეყანაში არის ტერიტორიალური მილიციის გასამხედროებული ფორმირებები, რომლებიც სამოქალაქო პირებისაგან კომპლექტდება.

რუსები სამყაროს ღვთაებრივ წარმოშობას აღიარებენ

რუსების დაახლოებით ნახევარი კრეაციონიზმის კონცეფციის, ანუ სამყაროს ღვთაებრივი წარმოშობის ერთგულია. ამგვარი შედეგი მიიღო საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრმა 20-21 ნოემბერს ჩატარებული გამოკითხვის შედეგების შეჯამებისას. ქვეყნის მოსახლეობის 35 პროცენტს ჩარლზ დარვინის ევოლუციური თეორიის მომხრეა. რუსების 22 პროცენტს კი აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ცალსახა


დამოკიდებულება არ გააჩნია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ კრეაციონისტთა შორის ადამიანის ღვთაებრივი წარმოშობის მხოლოდ 86 პროცენტს სჯერა. დარვინიზმის მომხრეთა 77% და კრეაციონისტთა 8% თვლის, რომ ადამიანსა და მაიმუნს საერთო წინაპარი ჰყავთ. დარვინისტთა 12%-ის აზრით კი, ადამიანი უფალმა შექმნა. სულ ადამიანის ღვთისმებრ წარმოშობას რუსების 48 პროცენტი ემხრობა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორგანიზაციამ ანალოგიური კვლევა გაზაფხულზეც ჩატარა. მაშინ ევოლუციის თეორიას რესპოდენტთა 19% ემხრობოდა, ადამიანის ღვთაებრივ წარმოშობას კი – 23%.

საფრანგეთმა მეღვინეობის ლიდერობა დაიბრუნა

2009 წელს საფრანგეთმა დაიბრუნა მსოფლიოში ღვინის უმსხვილესი მწარმოებლის ტიტული, რომელიც 2007 წელს იტალიას დაუთმო.

„International Organisation of Vine and Wine“-ის (O-IV) მონაცემებით, 2009 წელს საფრანგეთში აწარმოეს 45,7 მილიონი ჰექტოლიტრი ღვინი, რაც 0,2 მილიონი ჰექტოლიტრით აღემატება იტალიის იმავე მაჩვენებელს. შარშანდელი მონაცემებით, იტალიამ 47 მილიონი ჰექტოლიტრი ღვინი აწარმოა და ამით თავისსავე შარშანდელ მაჩვენებელსაც აჯობა.

სულ მსოფლიოში 2009 წელს „O-IV“-ის მონაცემებით 268 მილიონი ჰექტოლიტრი ღვინი იწარმოება, რაც, ფაქტიურად, არ განსხვავდება შარშანდელი მაჩვენებლისაგან. ევროპაში ღვინის მწარმოებელთა პირველ სამეულში საფრანგეთსა და იტალიასთან ერთად ესპანეთიც შედის. შემდეგია პორტუგალია, რუმინეთი და საბერძნეთი.



უკრაინასთან სავიზო რეჟიმს ევროკავშირი აუქმებს, საქართველოსთან – ირანი

უცხოური პრესა საქართველოს მიმართ აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხარდაჭერის შესუსტებასა და რუსეთის გააქტიურებაზე ოზამას პრეზიდენტად არჩევიდან ძალიან მალე აღაპარაკდა.

„საქართველო ნატო-ში გაწევრიანებას ცდილობს, მაგრამ გერმანიამ და საფრანგეთმა უდალატეს ყოფილი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის ვალდებულებას საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით“, - წერს WorldNetDaily.

ოზამა უკვე ხმამაღლა აცხადებს, რომ რუსეთთან ურთიერთობაში საქართველო ამერიკისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი აღარ იქნება. რას ნიშნავს ამერიკის პირველი პირის ეს განცხადება? დატოვა თუ არა დასავლეთმა საქართველო რუსეთის პირისპირ და გახდება თუ არა ოზამას პოლიტიკა რუსეთისთვის სტიმული საქართველოს შიდაპოლიტიკაში ჩასრფვად? რა ვერ გათვალა საქართველოს ხელისუფლებამ და როგორ შეიცვალა მსოფლიოს ხედვა გეოპოლიტიკური მიდგომების მიმართ?

ყველა ამ კითხვაზე პრესა გეოლოგიის კაბა კაციტაძეს ესაუბრა.

- თქმა, რომ დასავლეთმა მიგვატოვა და კატასტროფული დასკვნების კეთება იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ არ გვაქვს სრულყოფილი კონცეპტუალური აპარატი, რათა გავიაზროთ რა ხდება მსოფლიოში. ამის ნაცვლად, წლების განმავლობაში, ე.წ. პოლიტოლოგები სახელისუფლებო სქემებს „მოდელირებულ ქრონიკაში“ უდებდნენ თავში ადამიანებს. ერთ-ერთ ამერიკულ გამოცემასთან, აგვისტოს ომზე ერთი ქართველი ამბობს - „სულ ცას შევეყურები, როდის გამოჩნდებოდა ჰაერში ნატოს ვერტმფრენები“. აგვისტოს დღეებში კი, ერთი არც-თუ დაბალი რანგის ჩინოვნიკი მიმტკიცებდა, რომ ნატოს ტექნიკა არის თურქეთის ტერიტორიაზე და შემოღობიდან ჩვენს დასახმარებლადო. ანუ, წლების მანძილზე, ჩვენ შევექმნით რაღაც ილუზიები, რომელიც ახლა იმზერევა და აღიქმება ისტერიულ წივილად.

ეს ილუზიები თავად ბუშის ადმინისტრაციდან არ იღებდა სათავეს? ასმუსიც თარის წიგნში ამბობს, რომ ბუშის ადმინისტრაცია 4 დღის განმავლობაში განიხილავდა როკის გვირაბზე საჰაერო შეტევას.

- გეთანხმებით, ეს განხილვა იყო - შეიძლება თუ არა ფრთხილად რაკეტა ყოფილიყო გამოყენებული და სხვათა შორის, სამხედრო ტექნიკურად ეს შესაძლებელია, ანუ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილიდან გამოშვებულ ფრთხილ რაკეტას შეეძლო როკი დაენგრა. ამიტომ, მე არ ვიტყვი, რომ მოლოდინები მხოლოდ ერთი მხარის შექმნილი იყო. თუმცა, ბუშის ადმინისტრაციამ რა ძალაშია რა პოზიცია დაიკავა ამას ისტორია გარკვევს. ფაქტია, რომ ბუშის ადამინისტრაციამ ერთგვაროვანი და ჰომოგენური არ იყო.

თუმცა, ეს განვლილი დროა და მას ისტორიკოსები გამოუტანენ განაჩენს, ახლა სულ სხვა ეპოქა მოდის, ხოლო ჩვენ კიდევ აჩემებული გვაქვს მოვლენები თბილისის თვალთახედვით შევადგინოთ. ახა ახლა შევხედოთ გლობალური თვალთახედვით რა ხდება.

მაინც, რა ხდება?
- ის ხდება, რომ ამერიკამ მიიღო გადაწყვეტილება მოკავშირეებთან, პარტნიორებთან მოლაპარაკების შედეგად და მსოფლიო წესრიგი მთლიანად იცვლება.

ეს ნიშნავს, რომ პოლარიზაცია არ იქნება? - დღე-დღეზე ოზამა გამოქვეყნებს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას და იგი პრინციპულად შეიცვლება. ეს იქნება ის, რაც ჩვენმა ფარჩაკებმა ხელისუფლებაში ვერ გათვალეს. ესენი თვლიდნენ, რომ არსებობს მარადიული გეოპოლიტიკური დაპირისპირება ატლანტიკებს და ევრაზიელებს შორის, რითაც ჩვენი ჭკუის კოლოფები არაფრით არ განსხვავდებიან დუგინსგან, უბრალოდ დუგინისთვის ევრაზიელები არიან კარგი ტიპები და ჩვენთვის პირიქით. მე ყოველთვის ბოდეგად მიმაჩნდა სქემა, რაღაც მარადიული გეოპოლიტიკური კატეგორიები, რის გამოც განსაზღვრავს გეოპოლიტიკურ ქვეყნებს. გეოპოლიტიკის ეს ხანა დასრულდა და ეს უნდა გავიაზროთ.

მსოფლიო ყოველთვის ცვალებადი იყო, მაგრამ რუსეთის იმპერიული გამოხტომები არასოდეს იცვლებოდა. ოზამას განცხადებები ხომ არ გამოიწვევს რუსეთის წაქეზებას?

- მოდით ასე ვთქვათ, ამერიკელები არ არიან ისეთი გულუბრყვილოები, რომ რუსეთის მოქმედებებს გარეშე რაღაცა ზეპირ განცხადებებს ენდონ. რუსეთს მოუწევს რეალური მოქმედებებით იმის დადასტურება, რომ ის ეწერება იმ ურთიერთობების სისტემაში და იღებს იმ თამაშის წესებს, რასაც ვაშინგტონი სთავაზობს პარტნიორებს. მოცემულ მომენტში კი ეს შეთავაზუ ასეთია - არა ლიდერი და ჰეგემონი, არამედ პირველი თანასწორი შორის. ანუ მსოფლიო წესრიგი იერარქიზებულ ხასიათს მიიღებს და მეტ-ნაკლებად, ადგილები ყველას მიერ იქნება განსაზღვრული.

მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ამ წესრიგის მთავარი მტერი იქნება არა რუსეთი, არა ჩინეთი, ან რომელიმე სახელმწიფო, არამედ მარგინალური და ქაოტურობის მატარებელი ძალა. საქართველოში კი ტრაგიკომიკური სიტუაციაა, რადგან საქართველოს უნდა იყოს ყოფილიყო ამერიკის პირველი მოკავშირე და ახლა ირანის გვერდით აღმოჩნდა.

ქართული მხარის ეს ნაბიჯი რას ნიშნავს, ეს გამოწვევა ამერიკის შეერთებული შტატების და მთელი მსოფლიოს მიმართ, თუ ჩვენ, ჩვეულებრივი მოკვდავი ვერ ვწვდებით ჩვენი ხელისუფლების „შორს გათვლილ“ სტრატეგიას?
- რასაკვირველია გამოვევა. მე მქონდა საუბარი რამდენიმე მიმსიტთან და რამდენიმე მათგანი მიმტკიცებს, რომ ეს არის გენიალური სვლა. ეს ძალიან სასაცილო ახსნაა, რადგან ეს არის წყნის გამოხატულება და მეტიც არაფერი. ახლა კი, დიდ წარმატებად საღდება, რომ ირანთან სავიზო რეჟიმი უქმდება სამ თვეში.

ავტომატ მავალითად უკრაინა, ამ ქვეყანასთან სავიზო რეჟიმს სამ თვეში ევროკავშირი აუქმებს, ხოლო ჩვენთან - ირანი. რომელი უფრო წარმატებაა? ჩვენს ხელისუფლებას რომ ჰკითხოთ გეტყვი - რა თქმა უნდა ირანი.

წარმატებას თავი დავანებოთ, მაგრამ რამდენად სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენა ამით ხელისუფლებამ ქვეყანა?

- ეს იქნება კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოს იზოლაციისკენ, რომელიც ისევე ძალიან მაღალი დონის არის. მე ვხუმრობ, რომ საქართველოს შიგნით წავა ასეთი შინაარსის პროპაგანდა: „ისეთი პატრიოტები, როგორებიც იყვნენ ვარსკენ პიტიახში, შადიმან ბარათაშვილი, ყოველთვის ირანთან ურთიერთობის მომხრენი იყვნენ“. ასე რომ, მე რა

გამიკვირდება ასეთი ტიპის პიარი რომ წავიდეს და მორიგ „მოდელირებულ ქრონიკაში“ ამაზე იყოს საუბარი.

ხუმრობა და ვიდაცის ავადმყოფური ფანტაზიები ერთია, მაგრამ რევიონში საფრთხეების გაზრდას რამდენად დაუშვებს დასავლეთი და კონკრეტულად ამერიკა. ირანთან დაახლოების გამო, მოხდება თუ არა, ირიბი, ან პირდაპირი ჩარევა საქართველოს შიდაპოლიტიკაში?

- ჯერ ამერიკელები უფრო სერიოზული საქმეები აქვთ, ვიდრე საქართველო. ჩვენ უნდა დავივიწყოთ ავადმყოფური გეოპოლიტიკური ილუზია, რომ გეოპოლიტიკური ცენტრია საქართველო და ამიტომ, სულ მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იქნება. ეს არის ისეთივე ამოწურული თემა, როგორც პოსტინდუსტრიულ სახელმწიფოში მარქსისტული კატეგორიებით რაღაცეების გააზრება. ვთქვათ, კაპიტალი და საქონელი რჩება, ანუ, გეოგრაფიული მდებარეობა რჩება, მაგრამ წარმოებითი ურთიერთობები და კომუნიზმი აღარ მუშაობს დღეს.

ის, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ვამაყობდით ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობით და თვლიდით, რომ ეს გვადევედა უპირატესობას, დღეს დერეფანს დაკარგა მნიშვნელობა?

- გეოგრაფიული მდგომარეობა რა ქრება, მაგრამ ცალსახად ეს არ არის განსაზღვრელი მსოფლიო პოლიტიკის და ამას უნდა შევეჩვიოთ. უნდა გავიაზროთ, რომ არსებობს მთელი სიმრავლე ფაქტორებისა, მაგრამ ჩვენ ეს სიმრავლე დავყავდა ერთ ფაქტორზე - რომ ჩვენ შეგვიანხავს ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობა.

თავად რუსეთი რამდენად არის მზად, რომ მიიღოს მსოფლიოს ახალი თამაშის წესები?

- ეს რუსეთის პრობლემაა. ფსიქოლოგიურად მართლა გაუჭირდებათ, მაგრამ თუ ამოვარდებიან ამ წესრიგიდან, მათთვის ეს არ იქნება სასურველი არჩევანი. მაგრამ მე ვერ დავიჯერებ, რომ „როსსაბარონექსპორტისთვის“ და სამი სამრეწველო სამხედრო ორგანიზაციისთვის ამერიკული საბჭოების მოხსნა მოხდა ლამაზი გარანტიებისთვის. რაღაც რეალური პროცესები მიდის და ჩვენ ისევ ბრიყვულ სიტუაციაში ვართ, რადგან ეს ყველაფერი სინამდვილეში, ირანის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ჩვენ კი, ამ დროს ირანის მხარეს ვდგებით.

როგორ ფიქრობთ რუსეთს რა პოზიცია ექნება საქართველოს მიმართ, ახალი თამაშის წესებში ალბათ, არ ჯდება სუვერენულ სახელმწიფოებს თავდაცხმა, რაზეც ასე ხშირად საუბრობს ხელისუფლება.

- როგორც მე ვხვდები, რა თქმა უნდა ეს მხოლოდ ვარაუდია, რუსეთი საქართველოსთან ერთპიროვნულად არ ითამაშებს. აქტივობა ვისი უფრო იქნება საკითხავია, მაგრამ რუსეთის გადაწყვეტილება რომ იქნება შეთანხმებული ვაშინგტონთან და ბრიუსელთან, ამაში დაერწმუნებული ვარ. ეს პოლიტიკა რომ დაერწმუნება კონსერუსს დიდ სახელმწიფოებს შორის და არა დაპირისპირებას, როგორც ადრე იყო, ესეც ნათელია.

რუსეთს ახლა ოკუპაცია არაფერში სჭირდება თუ მაინც მოხდა მისი პროვოცირება ეს იქნება პარალელურად, ვაშინგტონის და ბრიუსელის პროვოცირებაც. ამ ხელისუფლებას ამის რუსურს თუ აქვს არ ვიცი, მაგრამ ირანს ამის თავი აქვს. რას მიიღებს სხვა საქმა, მაგრამ

მას ყოველთვის ჰქონდა თავი, რომ დასავლეთთან სულ ასე პროვოკაციულ რეჟიმში ყოფილიყო. ხელისუფლების მომხრეები ავრცელებენ ინფორმაციას, თითქოს ირანთან მოლაპარაკებების სანქცია ვაშინგტონიდან არის მიღებული, მაგრამ ეს ისეთი ზღაპრებია, რომლის სერიოზულად განხილვაც არ ღირს.

ყოველივე ამის ფონზე, როგორ ფიქრობთ, რა მიზანი აქვს ხელისუფლების მიერ რუსეთთან ენის გამოხსნის მცდელობას?

- პოლიტიკის შეცვლას რომ არ აპირებენ ცხადია, თუმცა ამათ პოლიტიკა არც არასოდეს ჰქონიათ. უნდათ ხელისუფლების შენარჩუნება. მე არ დამაყენებდა ის კითხვა, რომელიც 2004 წელს, პოლიტიკურ მეცნიერებებში მომუშავე ძალიან ბევრ ადამიანს დაუბრუნდა. მასში იყო ერთ-ერთი ასეთი კითხვა - იქნება თუ არა ეს ხელისუფლება 80 წლის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში? ამას თავისუფლების ინსტიტუტი სერიოზულად განიხილავდა, მაგრამ ვინ დატოვებს 80 წელი ამერიკა თუ რუსეთი, ამას მათთვის მნიშვნელობა არ აქვს.

ჩვენი ოპოზიციის ხელში არც ამის გამოიხილება შეიძლება.

- გეთანხმებით. თუ ხელისუფლების მიმართ საგარეო პოლიტიკის გამო ჩნდება კითხვა - გასაგებია, რომ არიან იდიოტები, მაგრამ არიან თუ არა მოლაღატები? ოპოზიციის მიმართ ჩნდება კითხვა - გასაგებია, რომ არიან იდიოტები, ოღონდ არიან თუ არა გამყიდველები და სააკაშვილის ხელისუფლებას აქვს თუ არა ხეირი? და ეს არ ეხება მხოლოდ ჯიბის ოპოზიციას. თუმცა, ის გლობალური პროცესები, რომელიც 3-4 თვეში დაიწყო, შიდა წვრილმან საკითხებს გადაფარავს.

ჩვენს ხელისუფლებას დასავლეთმა საყრდენი გამოაცალა, რუსეთთან არ მიესვლება, მარტო შეძლებს ძალაუფლების განმტკიცებას და საერთოდ, ეს პროცესები შიდა პოლიტიკაზე როგორ იმოქმედებს?

- აღმოსავლეთი ხომ დარჩა. რა გითხვით, ჩვენი ოპოზიციის უსუსურობიდან გამომდინარე შეიძლება არავითარი ზემოქმედება ამან არ მოახერხოს. შესაძლოა, ყველაფერი ისევე ისევე დარჩეს, მაგრამ მეექვსე საზოგადოებამ მოითმინოს ვითარების ასე გაუთავებლად გაგრძელება. ანუ, „ცხელი ზაფხული“ და „ცხელი შემოდგომა“ ისევე აქტუალური?

- ზაფხულის რა მოგასწონთ, პირიქით, იმედი მქონდა, რომ ზაფხული ნორმალური ოპოზიცია ჩამოყალიბდებოდა. ახლა ამის დიდი იმედიც არ მაქვს. არის რაღაც ინდიკატორები, რომელიც უნდა აჩვენებდეს, რომ ნორმალური ოპოზიციის ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო, ღმერთმა ქნას ვცდებოდე, მაგრამ ჯერ ასეთ ინდიკატორებს ვერ ვხედავ. ერთი რამ, რაც ნამდვილად ვიცი, ასეთი ტიპის რეჟიმები გულად ამთავრებენ და ეს იმდენად პოლიტიკური პროგნოზი არ არის, რამდენადაც პოლიტიკური მეცნიერებებიდან აღებული დასკვნა. შესაძლოა, ამ რეჟიმის დასრულებაში სრულიად მოულოდნელმა საბაზმა ითამაშოს როლი. ვიფიქრებდით როდესმე, რომ „მოდელირებული ქრონიკა“ განდებოდა და ამხელა რეზონანსი ექნებოდა? ამ ხელისუფლების წარმონაახვა, არცთუ დაღაცებული, იქნა მიდის, რომ ისეთი მოულოდნელობა შეიძლება შემოგვთავაზოს, ვერცერთი ექსპერტი წინასწარ ვერ განჭვრეტს. ანუ, ხელისუფლებამ ჩაიღინოს ქმედება, რომელიც მათვე დაანგრევს.

როზი ჯღამაია

აშშ რუს სამხედროებს ბირთვულ ობიექტებზე შეუშვებს

აშშ ხელისუფლება რუს სამხედროებს თავისი ბირთვული ობიექტების ინსპექტირების ნებას აძლევს. წინასწარ შეთანხმებას ამის თაობაზე აშშ სახელმწიფო დეივისი - პილარი კლინტონისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის მოსკოვში შეხვედრისას მიადღეს.

ბირთვულ სფეროში მსგავს დათმობებს აშშ აქამდე არასდროს დათანხმებულა, ახლანდელი შეთანხმების მიხედვით კი, რუსეთს არა თუ დაიშვებიან ამერიკის ბირთვულ ობიექტებზე, არამედ იქ არსებულ ბირთვულ ჭურვებსა და რაკეტებიც გადაიითვლიან. შეგახსენებთ, რომ სტრატეგიული თავდასხმით იარაღის შემცირებისა და შეზღუდვის შესახებ 1994 წლის 5 დეკემბრიდან ძალაში შესულ შეთანხმებას სხრ კავშირმა და შტატებმა 1991 წლის 31 ივლისს მოაწერეს ხელი. შეთანხმების მო-

ქმედების ვადა 2009 წლის 5 დეკემბერს იჭრება, შემდეგ კი ის შეიძლება ხუთი წლით გაგრძელდეს ან ახალი შეთანხმებით შეიცვალოს. მაგრამ ორივე შემთხვევაში მოლაპარაკებები ამის თაობაზე, სულ მცირე, ერთი წლით ადრე უნდა დაიწყო.

შეთანხმება თითოეულ მხარეს ავალდე ბულებს, 40%-ით შეამციროს ბირთვული ჭურვების რაოდენობა (6 ათას ერთეულამდე) და 30%-ით - მათი სტრატეგიული მზიდების რაოდენობა (1600 ერთეულამდე). 2001 წლისთვის ამერიკამ და რუსეთმა ეს ვალდებულებები შეასრულეს.

6 ივლისს მოსკოვში რუსეთისა და აშშ პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ჩარჩო-ხელშეკრულებას, რომელიც სტრატეგიული თავდასხმითი შეიარაღების ახალი ხელშეკრულების საფუძველი გახდება. მოსკოვური სამიტის პირველ დღეს ხელ-

მოწერილ დოკუმენტში რუსეთიცა და ამერიკაც კისრულობს ვალდებულებას, ბირთვული ჭურვების რაოდენობა 1500-1675-მდე შეამცირონ. რაკეტებიც კი - 500-1100-მდე. მონაცემები შემდგომ ეტაპებზე საბოლოოდ დაკონკრეტდება.

ახალი მოლაპარაკებების პროცესში მთავარი საკამათო პუნქტი გახდა შემცირებაში მოყოლილი ჭურვების საკითხი. რუსეთს მათ ანაღვურებენ, ამერიკაში კი შლიან. ენერგეტიკის სამინისტროსთან არსებული ბირთვული უსაფრთხოების ეროვნული სამმართველოს თანამშრომელთა განცხადებით, ჭურვების ლიკვიდაციას 15 წელიწადი დასჭირდება, მათგან დარჩენილი პლუტონის ატომური ელემენტოსადგურების საწვავად გადაამუშავებაზე კი - 21 წელიწადი.

გასანადგურებელი ჭურვების ზუსტი რაოდენობა გასაიდუმლოებულია. როგორც სპე-

ციალისტები ვარაუდობენ, მონაცემები დაახლოებით 4200-ის ფარგლებში მერყეობს.

გარდა ამისა, პენტაგონს აქვს 2700 ოპერატიულად დაშლილი და 2500 სარეზერვო ჭურვი. ისინი საწვობებში ინახება და საჭიროების შემთხვევაში შეიძლება უსწრაფესად დაეკონკრეტებენ ან ბალისტიკურ რაკეტებზე.

სერგეი ლავროვთან ზემოხსენებული მოსკოვური მოლაპარაკებების შემდეგ პილარი კლინტონმა განაცხადა, რომ აშშ აღნიშნულ საკითხებში გამჭვირვალე იქნება, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ახლა მოსკოვსა და ვაშინგტონში ფრთხილად იმელოვნებენ, რომ სტრატეგიული თავდასხმით შეიარაღების ძველი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, ანუ 5 დეკემბრამდე, შესაძლოა, ახალ შეთანხმებასაც მოეწეროს ხელი.

საქ. ინფორ.

დღეობა

რვა წელი გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ, მაგრამ, თითქოს გუშინ გაგე-შორდი სამუდამოდ...

საოცარი სიცარიელე დამჩემდა, რასაც ვერც გულშემატკივარი შეილება მივსებენ და ვერც გაღაინივით მოჯარული შეილისშვილები!

ვიდაც იტყვის – შე დალოცვილო, თუ შეილებიცა გვაყვ და შეილისშვილებიც, თუ სამოცდაათ წელს ხარ მიღწეული, რაღა დროს დედის ამგვარი სევდიანი მონატრებაა!

არაა ასე საქმე – თუ დედა და მამა არ გახსოვს, ვერც შენს იმ დანიშნულებასაც გაიხსენებ, რისთვისაც მოგავლინეს ამ ცოდვილ დედამიწაზე შენმა მშობლებმა.

ჩემი და ჩემნაირი ადამიანების განცდა მიუწვდომელი იქნება იმ დღისაძეების, თუთბერიძეების, თევზაძეებისა და სხვა უჯიშოებისათვის, რომლებიც სხვა გადაგვარებულთა საამებლად, ორმოცი ვერცხლის ფასად, მზად არიან ლაფში ამოთხვარონ საკუთარი დედები, საჯაროდ გაიციხონ ისინი და კახები და მეძაგები უძახონ!

კიდევ კარგი, საწყალი დედაჩემი ვეღარ მიესწრო ამ უჯიშოთა აღზევებას საქართველოში, თორემ სიბერის სიბაბუნე და მძიმე ავადმყოფობა კი არა, მათი თუნდაც ერთხელ მოსმენა მოუღებდა ბოლოს.

XXI საუკუნე იმით შეიქნა გამორჩეული, რომ კაცობრიობის გამანადგურებელ ეპიდემიასავით მოელო დედამიწას უამრავი ცოდვილი, რაც გაუსაძლისად აძნელებს ჩვენს ისედაც მძიმე ყოფას. ჩვენ ხომ იმ თაობას ვეკუთვნით, რომელთათვისაც ქალი – ქალი იყო და კაცი – კაცი, დედა კი არცერთ ამ კატეგორიას არ ეკუთვნოდა, იგი, უბრალოდ, იყო დედა!

ჩვენი სიყმაწვილისას ვერსად გაიგონებდი **“ჩემი დედა...”**-ს, რადგან ჩვენთვის დედა დედას გახლდათ, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც მამები დიდ სამამულო ომში დაგვეღუპა და ყოველდღიურად დედებზე ვიყავით მიხედობილი.

მამის დაღუპვის ფურცელი არ მოგესვლია – **“უგზო-უკელოდ დაიკარგაო”**, იუწყებოდა სამხედრო კომისარიატის მიერ გამოგზავნილი ბარათი. იმ დროს ყველამ კარგად იცოდა, თუ რა მოხდა ქერში, სადაც სარდლობის დანაშაულებრივი ქმედებისა თუ უმეტერების მიზეზით რამდენიმე დღეში 170.000 ქართველი მემომარი დაიღუპა. ისიც იცოდნენ, თუ რას ნიშნავდა ქერის ფრონტზე ჯარისკაცის **“უგზო-უკელოდ”** დაკარგვა, მაგრამ მაინც არსებობდა ერთი მინაწერი, მაგრამ მაინც იმედი – იქნებ მართლა დაიკარგა და ოდესმე გამოჩნდება? სწორედ ეს იმედი ასულდგმულვად იმედი წასულთა მომლოდინეებს.

იქ კი, სადაც არის იმედი, ყოველთვის არის სულიერი და ზნეობრივი სიმტკიცე. შეურყეველი მორალი, მომავალი თაობისადმი სიყვარული და რწმენა...

დედა მამას ელოდა არა როგორც ოდაბადედან შორს გადახვეწილ და მოუსავლეთში ჩაჩხილ ადამიანს, არამედ როგორც ოჯახის უფროსს, რომელიც დროით გავიდა ოჯახიდან და სადამოს უკვეკლად უნდა დაბრუნდეს სახლში. ამიტომ, ერთხელ, თბილისში გაზრდილ 12 წლის ბიჭს გამოიმცხადა: **“ჩემი სირცხვილი იქნება, მამა რომ დაბრუნდება და შეიტყობს – მეგრული არ იცი, ამიტომ, ყველა საზაფხულო არდადეგებს სამეგრელოში გაატარებო”**.

ასე ვისწავლე მეგრული! შეიძლება ციდან ვარსკვლავებს არ ვწყვეტ, მაგრამ, იმდენი მეგრული მაინც ვიცი, რომ სხვების საუბრის არსი გავიგო!

სწორედ ეს გახლავთ, ჩემი მხრიდან, მშობლების ხსოვნისადმი ღრმა პატივისცემა!

აი, ასეთ ატმოსფეროში ვიზრდებოდი ჩვენ, ხოლო გეზრდიდნენ არა დაქორაგებული გადიები, არამედ დედები, რომლებიც თავაუღებლად მუშაობდნენ, რათა ჩვენთვის არაფერი მოეკლოთ და მამით ობლობა არ ეგრძობინებინათ.

ამიტომაც გამოირჩევა ჩემი თაობის წარ-

მომადგენელთა აბსოლუტური უმეტესობა ზნეობრივი და მორალური მდგრადობით, წინაპართა ხსოვნისადმი პატივისცემით, ეროვნული ტრადიციებისადმი ღამის ფანატიური ერთგულებით...

ახლანდელმა ხელისუფლებამ კი უპირველესად მომავლის იმედი მოუსპო საზოგადოებას, რათა იგი ჯერ გაეთითოკაცებინა, შემდეგ კი ზაფხულის მზის გულზე დაგდებული პლასტიკისფერი მოქნილი და იოლად დასამორჩილებელი გაეხადა. ვისი გახრწნაც მოაწრეს, ისინიც საკმარისნი არიან საიმისოდ, რომ ქვეყანას სამუდამოდ მოუსპონ მომავალი.

ჩვენნაირი ხალხი ამ ხელისუფლებას არ სჭირდება, მათ მხოლოდ საკუთარი დედის მაგნიტული და კახად ამადიარებელი დეისაძეები სჭირდებათ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამგვარი არაკაცების დედამიწის ზურგზე მოვლინება იმ დედების ბრალია, რომელთაც საკუთარი პირმშოს ერთ მოყვრებას გარეგარე წაწალი და ღამის კლუბებში გავის ქნევა ურჩევიათ.

ყველა ნორმალური შვილი იმავს ნანობს, რომ თუნდაც ასი წლის ასაკს მიღწეული დედა სიკვდილისაგან ვერ იხსნა, რათა კიდევ რამდენიმე დღით მაინც ჰყოლოდა გვერდით. ეს უჯიშოები კი საკუთარ დედას დღეში რამდენჯერმე ჰკლავენ. სიკვდილზე მეტი სასჯელი არ არის დედისთვის, შვილი რომ საჯაროდ კახად და მეძაგად გამოაცხადებს!

როგორც ამბობენ: ვაშლი ვაშლის ხიდან შორს არ ეცემა!

ავადსახსენებელი ერეკლე დეისაძე (არა და, როგორც კაცის სახელს არცხვენს ეს მართლა გადაგვარებული), რომელსაც ახლა დიდ პროპაგანდას უწევენ ტელეარხები **“რუსთაფი-2”**, **“იმედი”** და სიბინძურის მსახური სხვა საშუალებები, ზუსტად იმ ხის ქვეშ ჩამოვარდა, რასაც მისი მშობლები, ნათესაობა და სამეზობლო ჰქვია და, დოა თუთაშხიასი არ იყოს, მათზე უკეთესი რატომ უნდა გამოსულიყო ნეტა?!

რას ვერჩით იმ დეისაძეს, რომელმაც თავის უბადრუკ ნაწარმოებში მისივე უბადრუკი მშობლებისა და ნათესაების ორგული ყოფა აღწერა?

ასე ესმის კაცს სამყაროს გადმოძახილი და მართლა შუა საუკუნეებში ხომ არ ცხეოვრობო, ამნაირ უბადრუკ დეისაძეებს თავიანთი ნაჯღანები შემოუვლავოთ გარშემო, ცეცხლი წავუკიდოთ და **“აუტო-და-ფე”** მოვუწყოთ?

მას საკუთარი ბაღდადი და არაკაცობა მოუღებს ბოლოს, თუ მანამდე სხვა ნორმალური ადამიანები არ გაისარჯვენ!

მე და ჩემს თანატოლებს კი ის გვადარდებს, რომ, რაც უფრო მეტ სიბინძურესა და არაკაცობას ვაწყდებით, მით უფრო გერცხვენია დედის ხსოვნისა და დანაშაულს ვერძნობთ მის წინაშე, რომ ადრევე არ გავუჭკლიტეთ თავი იმ გარეწარს, რომელიც თავისი ბინძური კალმით, ფაქტიურად, ყველა დედას აყენებს დიდ შეურაცხყოფას.

მაგრამ, ალბათ მალე ყველა პატიოსანი ქართველი ადამიანი აისრულებს გულისწადილს და სათანადო პასუხს გასცემს ქართული სულიერების შემბღალავ არაკაცებს...

ახლა ნუგეშად ისდა დამჩნა, რომ დედის საფლავზე მოძალებულ ბალახს ვებრძოლო და ძირიანად ამოუთხარო ხოლმე.

მაგრამ, მაინც ამოდის! ამოდის და თითქოს მეუბნება: რას მერჩი შე დალოცვილო, მე ხომ იმ მკერდის ანაორთქლით ვარ ნასაზრდოები, შენ რომ თოთოობისას გეკვებავდარი.

ალბათ მართალიცაა, მაგრამ მაინც ვებრძვი იმ ბალახს, რომლის ფესვებმაც არაბობად უნდა აქციონ ჩემთვის უსაყვარლესი ადამიანის სხეული.

სული კი მუდამ ჩვენთან დარჩება, რადგან სწორედ მშობელი დედის მიერ შთაბერილი სული გახლავთ ჩვენი მორალისა და ზნეობის ქვაკუთხედი.

მართლაც რომ საცოდავია ის, ვინც ეს არ იცის!

როლანდ ჯალაღანია

ნარკოლიკეები კოკაინს ფყალქვეშა ნაგვით ეპირიზიან
კოლუმბიელი ნარკომოვაჭრები კოკაინს ეხიდებიან 20-მეტრიანი სუბ-მარინებით, რომელთაც 10 ტონამდე ნარკოტიკული ნივთიერების ზედგა შეუძლია. ნარკოტიკების გადასატანად პირველი წყალქვეშა ნაგები რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა და დღისათვის გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ში კოლუმბიელი მტრანალი ნარკოტიკების დიდი ნაწილი სწორედ ამგვარი მცურავი ობიექტების დამსახურებაა.

ნაგებს მინაპლასტიკისაგან აწვობენ, შიგნით ოთხკაციანი ეკიპაჟისათვის ხის უხეში სკამების განთავსებული. მიუღ დაწარჩენ ადგილს ძლიერი ძრავა იკავებს. რაღა თქმა უნდა, კოკაინის ტომრებისათვის ადგილი გათვალისწინებულია.

ამგვარი სუბმარინა ოკეანეში ძალზე ძველი აღმოსაჩენია, მაგრამ თუ შემთხვევით მაინც მოპარა ვინმე კოკაინი, ნავი მიზანმიმართულად დაეშვება ფსკერისაკენ და სანაპირო დაცვის სამსახურს შერჩება მხოლოდ ზედაპირზე მოტივტივე ეკიპაჟის წევრები, რომელთაც ვერაფერს მოეძავებიან. თუ 10-დან ერთი ნავი მაინც მიაღწევს დანიშნულების ადგილამდე, ეს მაინც ღირს წვალებად. ერთი ამგვარი წყალქვეშა ნავის აშენება მილიონი დოლარი ჯდება, ეკიპაჟს 150 ათასი უნდა გადაუხადონ, ბაზარზე ჩასული 9 ტონა კოკაინი კი, სულ მცირე, 200 მილიონის მომტანია.

ნარკოტიკებთან მებრძოლი ამერიკული სამსახურის მტკიცებით, წყალქვეშა ნაგები ერთჯერადი გამოყენებისაა. როგორც ჩანს, სულ მალე ნარკოტიკებს ნამდვილი წყალქვეშა ნაგვით გადაიტანენ და მათი მშენებლობისთვის ამ უდიდეს ბიზნესს არც გამოცდილი ინჟინრებისა თუ მუშახელის დაქირავება გაუძნელებდა.

საქართველოს კი, კოკაინის ტრანზიტით გასატარებლად არც წყალქვეშა ნაგები სჭირდებათ და არც მძლავრი ავიაცია – საკმარისია შემოიტანო ჯარისის გარკვეული რაოდენობა, რომელშიც კოკაინის ასევე გარკვეული რაოდენობა იქნება შეფუთული. მართლაც ძნელი წარმოსადგენია, ასე იოლად შემოიტანო ნარკოტიკების დიდი პარტია, მაშინ, როცა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოში ნარკოტიკების მოძრაობაზე სასტიკი კონტროლია დაწესებული.

მაგრამ, ყველაფერი **“გენიალური”** ხომ უადრესად მარტრია!

რომ არა პარტნიორებზე განაწევრებული ნარკოკურიერი, ალბათ ის 190 კილოგრამი კოკაინიც მიაღწევდა დანიშნულების ადგილს. თუმცა ადრე რამდენი რაოდენობის კოკაინმა გაიარა ტრასა კოლუმბია-საქართველო-ვეროპა, არავინ იცის და ალბათ ვერც ვერავინ ვერასოდეს დაადგენს.

ამიტომ დღეს მთელ მსოფლიოში საკრალურად ქცეული საკითხი – რა უნდა იღონონ სამართალდამცავებმა ისეთი, რომ თუ სრულად არა, ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრან ამ მომამკვდინებელი ტვირთის მოძრაობა!

საკ. ინფორმ.

ბერლინის კედლის აღების იუბილეს ობამას ბარეში იუბილემდე

9 ნოემბერს ბერლინში ბერლინის კედლის დანგრევიდან 20 წლის იუბილეს იხიბობენ, აშშ პრეზიდენტი ბარაკ ობამა კი დღესასწაულს ვერ დაესწრება. ამის მიზეზად დროის უქონლობა სახელდება – 11 ნოემბერს ობამა დიდი ხნის წინათ დაგეგმილ აზიურ ტურნეში უნდა გაემგზავროს. გერმანიის ხელისუფლება აცხადებს, რომ გაგებით მოეკიდებიან ამერიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას.

სამაგიეროდ, ბარაკ ობამას ნაცვლად ამერიკიდან დღესასწაულზე სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი გაემგზავრება. როგორც უკვე გახდა ცნობილი, ქალბატონი ჰილარის ამ ვიზიტის დროსაც არ ეყოლება გვერდით ექს-პრეზიდენტი მეუღლე ბილ კლინტონი.

სხვათა შორის, ბარაკ ობამა პრეზიდენტობის პერიოდში ერთხელაც არ ჩასულა ბერლინში, თუმცა 2009 წლის ივნისში ის დრეხდენში იმყოფებოდა და მოინახულა ბუკინედადის ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკის მემორიალი.

რაც შეეხება ანგულა მერკელს, გერმანიის კანცლერი ბარაკ ობამას 3 ნოემბერს ვაშინგტონში კონგრესში სიტყვით გამოსვლისას შეხვდება.

საკ. ინფორმ.

რუსეთი ავღანეთიდან ამერიკული ჯარის გასვლის მომხრეა

კრემლი კმაყოფილია ავღანეთში ამერიკული კონტინგენტის 30 ათასი ადამიანით გაზრდის თაობაზე ობამასხული გეგმებით. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით რეგიონის სტაბილიზაცია მის ინტერესებშიცაა.

ბოლო პერიოდში გახშირდა ავღანეთის რუსი ვეტერანების განცხადებებიც. მაგალითად, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სპეცდანიშნულების ელიტარული ქვედანაყოფის **„ალფას“** ყოფილი მეთაურის გენადი ზაიცევის განცხადებით, მეტი ჯარისკაცი უბრალოდ, მეტ მიცვალებულს ნიშნავს. ავღანეთში ნაბრძოლი გენერალი იგორ როლიონოვი საბჭოთა გამოცდილებაზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ კონტინგენტის შემდგომი გაზრდა უაზრობაა.

მოსკოვში ობამას განცხადებასთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულებაა. უკანასკნელი წლების განმავლობაში რუსეთში ამერიკელების ავღანურ წარუმატებლობებზე გარკვეული კმაყოფილებითაც საუბრობდნენ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ოპერაციის ჩაშლით რუსეთი ნამდვილად არაა დაინტერესებული, სხვა თუ არაფერი, ამ ქვეყანასთან უშუალო მესოტლობის გამო.

მაგრამ რა ელის ავღანეთს ამერიკული ჯარის გასვლის შემდეგ? საბჭოთა კავშირმა ქვეყნიდან წასვლის შემდეგ იქ თავისი **„ერთგული ვასალი“** ნაჯიბულა დატოვა და სტაბილური მხარდაჭერის შედეგად რამდენიმე წელსაც გააბაღლებინა. **„ახლა დასავლეთს მორე ნაჯიბულას მსგავსი ვიდაც სჭირდება“**, – ამბობს კურნალის **„რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში“** მთავარი რედაქტორი ფიოდორ ლუკიანოვი, რომელიც ეჭვობს, რომ ამ როლისთვის ავღანეთის ახლანდელი პრეზიდენტი ჰამიდ კარზაი გამომდგეს.

საკ. ინფორმ.

В Южной Осетии воевали украинские националисты

В ходе вооруженного конфликта на территории Южной Осетии в период с 8 по 11 августа 2008г. на стороне грузинских вооруженных формирований принимали участие наемники из числа представителей украинской националистической организации **“УНА-УНСО”**, действовавшие против интересов России.

Вербовка и финансирование наемников были организованы сотрудниками МВД Грузии, сообщает пресс-служба Следственного комитета при прокуратуре РФ.

В сообщении говорится, что Главным следственным управлением при прокуратуре РФ на территории Южной Осетии в августе 2008г. получены доказательства совершения грузинскими военнослужащими других преступлений.

Были выявлены и задокументированы факты нарушений норм международного гуманитарного права и свобод человека и гражданина со стороны грузинских военных в отношении мирного населения Южной Осетии и российских миротворцев. Кроме того, получены доказательства умышленных убийств и похищения мирного населения, применения насилия в отношении военнопленных и задержанных гражданских лиц, использования тяжелого наступательного вооружения неизбирательно действия и запрещенных международными конвенциями кассетных боеприпасов и 500-килограммовых авиабомб против гражданского населения Южной Осетии.

В ходе следствия установлен факт нападения на российских миротворцев и учреждения, которые пользуются международной защитой. В результате вооруженной и ничем не спровоцированной агрессии Грузии погибли 10 военнослужащих российского миротворческого батальона, причинен вред здоровью различной степени тяжести 40 военнослужащим-миротворцам, полностью уничтожена инфраструктура российских миротворческих сил, чем причинен значительный имущественный ущерб Российской Федерации.

На основании полученных доказательств возбуждено уголовное дело.



თუ ამ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა ერის ღალატია, მაშინ მოლაპარაკება ვერ!

ნებისმიერი პოლიტიკოსი თუ რიგითი მოქალაქე, ვინც სააკაშვილის სამსახურში ჩადგება, საქართველოს მტერია!

უკრაინაში იანუკოვიჩის გაიმარჯვებით, ფერადი რევოლუციების ტალღა საბოლოოდ დასრულდება.

ბოლო დროს განვითარებული მოვლენების თაობაზე გვესაუბრება ცნობილი მეცნიერი და პუბლიცისტი, პროფესორი ელიზბარ თქვენთისძე.

– ბატონო ელიზბარ, თქვენთვის, ალბათ, მოულოდნელი არ იყო ის ისტერიკა, რაც ამას წინათ რეზო ამაშუკელის, ნოდარ წულუკისძისა და თქვენს დაჯილდოებას მოჰყვა და ვინაობის პრემიით; მწვავე განცხადებები მოვისმინეთ თქვენი კოლეგების – მწერლების, პოეტების, პუბლიცისტებისა და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ცნობილი ადამიანებისგან. მათ ერთხმად აღნიშნეს: ასეთი პრემიის მიღებაზე არასოდეს დავთანხმდებით... თქვენ რატომ დასთანხმდით და რას უპასუხებთ იმ ხალხს, ვინც მიიჩნევს, რომ ეს ერის ღალატის ტოლფასია?

– როცა ქვეყანაში უზნეობა ბატონობს, როცა ხელისუფლების სათავეში უცხოებრივი ადამიანები არიან, შეფასების კრიტერიუმები იცვლება და ზნეობრივ უზნეოს უწოდებენ, უზნეოს კი – პირიქით; მეგობარს მტრად რაცხავენ, მტერს მეგობრად და ა.შ. ეს ძალიან მარტივი და პრიმიტიული სქემაა – ყველა, ვინც სააკაშვილსა და მის რეჟიმს უპირისპირდება, საქართველოს მტრად ცხადდება; ხოლო ისინი, ვინც, ბოდიში და, მას ერთ ადგილს უღოკავენ, პატრონობენ არიან...

ამათთვის მნიშვნელოვანია არ აქვს, ვისთან და რა კატეგორიის ადამიანებთან დაიჭერენ საქმეს, მთავარია, სარგებელი ნახონ... როდესაც ჩამოჰყავთ მაკკინი, მათ ძალიან კარგად იციან, რომ ის გარეშარი კაცია, ჩადენილი აქვს უამრავი დანაშაული, ბოროტება (ბავშვებსა და ქალებს სოცავდა, გახვეული იყო კორუფციაში); როცა დაწინაურდა, ავადმყოფ ცოლს გაშორდა და მილიონერის ქალიშვილი შეირთო, რომლის წყალობითაც მოხდა სენატში... ის, რომ ჩვენი ხელისუფლება მას „წმიდა გიორგის“ ორდენით აჯილდოებს, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, ვინ არის ამათთვის მტერი და ვინ – მეგობარი...

მე არა ერთხელ განვიცხადე, რომ არ მაინტერესებს, ვინ რას იტყვის, ვის რა მოსწონს, იმიტომ, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში ადამიანებს აყვებენ. გამოვიდა ვიღაც გოგობედაშვილი (დეფი თუ რაღაც მაგდაგვარი ჰქვია), არც ვიცი, ვინ არის და „ფეხებს“ აგენტებად გამოგვაცხადა. თვითონ რას წარმოადგენს? თავი რომ მწერლად მოაქვს, რა დაუწერია, რა გაუკეთებია? კაცს რომ მიაწერენ, ეს მწვერალიაო, დამთავრებულია მისი ამბავი, ესე იგი არავინ იცნობს და არავის გაუგონია მისი სახელი... ეს არის კაცი, რომელსაც, მიკვირს, როგორ არ გაუცვდა ენა ამ ხელისუფლების წარმომადგენელთა საჯდომების ლოკით. ან რით არ მობუხრდათ მას და მისწრაფებს მუდმივად ერთი და იმავე თემაზე – კრემლის აგენტებზე ლაპარაკი?! თუ ამ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრ-

ძოლა ერის ღალატია, მაშინ კი, ბატონო, მოლაპარაკება ვერ, ვინაიდან მე მთელი ჩემი პრინციპულობით, შეგნებულობით ვებრძვი ამ ხელისუფლებას; ამ ხელისუფლებამ დააქცია და გაანადგურა ეს ქვეყანა – მოსპო სოფელი, გაანანაგა მრეწველობა, მცირე თუ საშუალო ბიზნესი საერთოდ აღარ არსებობს, გაიყიდა ყველა სტრატეგიული ობიექტი და თანაც ყველაფერი რუსებს. მოკლედ, სააკაშვილმა კენტაერს დაამსგავსა ქვეყანა – თავით (პოლიტიკით) უნდა ვიყოთ ამერიკასთან და ტან-ფეხით (ეკონომიკურად) – რუსეთთან... ასეთი რამ არ ხდება ბუნებაში, თუ თავი გათიშული გაქვს, ფეხები არ მოძრაობს; ან ფეხი მოძრაობს და თავი არ მართავს – ასე ფონს ვერ გახვალ, ნაბიჯსაც ვერ გადადგამ, გზას ასცდები და საბოლოოდ უფსკრულში გადაიხეხები. ეს ამათ არ ესმით, ან არ უნდათ, რომ ესმოდეთ და ქვეყანაც იღუპება, ინგრევა, სულ მალე საქართველოსგან აღარაფერი დარჩება. ამიტომ, სანამ დროა, ხალხმა ხმა უნდა აღიმართოს. სხვა გამოსავალი არ ვიცი, თუ ჩემად ვიქნებით, ამათაც ეს უნდათ – რასაც აქამდე ერთის ამბითა და ხმაურით აკეთებდნენ, უწუმრად, საზოგადოებისთვის შეუმჩნეველად იხამენ და ერთ მშვენიერ დღეს რომ გაგვედგინებენ, დავინახავთ, რომ სამშობლო აღარ გვაქვს...

– ბოლო დროს ხელისუფლებამ მეტისმეტად მწვავე ისტერიკა ატეხა რუსეთში, თქვენს თემის გარშემო; თქვენ როგორ ფიქრობთ, საფუძვლიანია ნაცების შიში, თუ იმ შეგონებისა არ იყოს: „მელას რაც აგონდებოდა, ის ელანდებოდაო“, მართლა ისეთი შეშინებულები არიან ჩვენი ბელოვლანის ხელისუფალნი, რომ ყველგან ბუნტი და უცხო ქვეყნის აგენტები ელანდებოდა?

– ეს არის ამათი პოლიტიკის გეგმის ნაწილი – საზოგადოებაში უნდათ დათესონ ტერორი, რათა თითოეულ მოქალაქეს მუდმივად ჰქონდეს იმის შიში, რომ ვინმე ცილი არ დასწამოს და ერის მოლაპარაკება არ შეიძლოს. მე პირდაპირ ვამბობ: ყველაზე დიდი მოლაპარაკებები ესენი არიან და ვინც ამათ გვერდით დგას, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ებრძვის და სპობს ყოველივე ქართულს. კუდიანებიც თვითონ არიან და აგენტებიც. ისინი თავიანთი გაფუჭებული ბუნების მიხედვით აზოგადებენ ყველაფერს და ამიტომაც ჰკონიათ, რომ, თუ კაცი თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ მუშაობს, საერთო ენის გაუმონახვის მომხრეა, მოლაპარაკედ და მტრად უნდა გამოცხადდეს. ასე არ არის... სხვათაშორის, სოსო ჯაჭვლიანიმა თქვა ძალიან კარგად: მე ყველგან ვარ საქართველოს აგენტი, მაგრამ ესენი ვისი აგენტები არიან, ნეტა, გამარკვევინაო... ის ისტერიკა, რომელმაც, როგორც თქვენ აღნიშნეთ, მოიკვამოდა მთელი სახელისუფლო სპექტრი, განპირობებულია იმით, რომ ესენი ხედავენ, როგორ ეცლებათ ხელიდან ძალაუფლება. გრძნობენ, რომ მათი ასპარეზობა დამთავრებულია, მაგრამ ჩვენი მთავარი ამოცანა ის კი არ უნდა იყოს, რომ როგორმე ეს ხელისუფლება გავეშვათ, არამედ უნდა ვეცადოთ, მოვიდეს

ისეთი ხალხი, რომელსაც თავის ერზე და ქვეყანაზე ფიქრი აქვს. შეიძლება ვერაფერი გააკეთოს, მაგრამ დამე არ ეძინოს; ასეთი მე უამრავი ადამიანი ვიცი...

– სწორედ ეს არის ის საკვანძო საკითხი, რომელიც საზოგადოებას ყველაზე მეტად აინტერესებს. დღეს ყველა სვამს კითხვას, რა ან ვინ იქნება სააკაშვილის შემდეგ? ოპოზიციამ ჯერჯერობით ვერ გასცა ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი...

– ჩემი პოზიცია ასეთია: ჯერჯერობით არა, მაგრამ, როცა სააკაშვილის რეჟიმი აღარ იქნება, ჩვენ უნდა შევცვალოთ საპრეზიდენტო მმართველობა საპარლამენტოთი. ოღონდ ეს უნდა მოხდეს ნორმალური, ადამიანური, სამართლიანი (დემოკრატიის შეგნებულად არ ვამბობ, არ მიყვარს ეს სიტყვა იმიტომ, რომ გააბახეს) არჩევნებით, რაც დღესდღეობით ამ ხელისუფლების პირობებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია...

– ისე, კულუარებში იმასაც ამბობენ, მომავალ პრეზიდენტად გიგი უგულავას ამზადებენ...

– ამთავან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ხალხსა და მოქალაქეებს უნდა იქნება და ვინ იქნება. დღეს ჩვენი საზოგადოება ძილ-ქუშშია, ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობს. ბევრს ჰკონია, რომ ყველაფერი კარგადაა. ამ დროს ქვეყანა თავზე გვეგრევი და, თუ 2013 წლამდე ასე გაგრძელდა, საქართველო აღარ იქნება არა მხოლოდ პოლიტიკურ რუკაზე, არამედ – ფიზიკურ რუკაზეც.

– გამოსავალს რაში ხედავთ?

– გამოსავალი, როგორც გითხარით, მხოლოდ ერთია – ეს ხელისუფლება უნდა წავიდეს და ქვეყნის სათავეში ეროვნული ძალები მოვიდნენ. ეს პროცესი, შეიძლება ითქვას, უკვე დაწყებულია და, უკრაინაში იანუკოვიჩის გაიმარჯვებით ჩათვალეთ, რომ ფერადი რევოლუციების ტალღა საბოლოოდ დამთავრდა. იმ ქვეყანაში, სადაც ეს რევოლუციები გაცილებით ადრე მოხდა, დღეს ხალხი წარსულს მისტირებს. აი, ჩაუშეს კუხე რომ აცხადებდნენ, დესპოტი, ტირანი, მკვლელობა და ბატონი შეგარდნაძე რომ ჩაიფლა იქ და ხალხს მიულოცა, დიქტატორი მოკალითო, დღეს ის ადამიანები, ვინც მას აგინებდნენ და მოსაკლავად დასდევდნენ, მაქვს ინფორმაცია, რომ მალა-ზიებში თავისუფლად ვერ შედის. ეს იმიტომ, რომ იქ საზოგადოებამ დაინახა ვინ ვინ არის და რას წარმოადგენს. დღეს ჩვენი თანაც დახლოებული იგივე პროცესები მიდის და აი, სწორედ ეს არის იმ ისტერიკისა და შოკის, სკანდალის მიზეზი, რომელსაც ხელისუფლება აწვიბს. სწორედ ამის გამო არიან ესენი ასეთი ადრენალინი და ყველაფერში გადატრიალები საფრთხეს ხედავენ...

– ისე, რაც მართალია, – მართალია. ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, უცნაურად აღაპარაკდნენ ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, მათი უმეტესობა უცებ პრორუსული გახდა...

– უძღები შეილი თუ დაბრუნდება, მას ზურგი არ უნდა აქციოთ – მათ კარგად იციან, რომ ნატო კარგს არაფერს მოგვიტანდა, პირიქით, სწორედ ამ ნატოსა და კატოს ძახილმა დაგვუღია. არ დაღუპუ-

ლა აზერბაიჯანი და არ დაღუპულა სომხეთი. რატომ? იმიტომ, რომ მათ იპოვეს თავიანთი გზა და ჭკუით არიან.

დღესდღეობით ნატო ფორმალური ორგანიზაციაა. მან, დიდი ხანია, დაკარგა თავისი ფუნქცია და, ფაქტობრივად, ამერიკის პოლიტიკის წარმოადგენს. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ მაგალითს, რომ მას რომელიმე ქვეყანა გაემთლიანებინოს ან რომელიმე კონფლიქტი მოეგვარებინოს. დაშლით – კი, ბატონო, ბევრი ქვეყანა დაშალა...

მევესაძღვები, თუ ჩვენს პოლიტიკოსებს აზროვნება შეეცვალათ და თვლი ამ მკედრად მოხილი ორგანიზაციისკენ არ გაუერთიანდებიან, რუსეთის ხელისუფლებამ უნდა დაინახოს, რომ ამ პოლიტიკოსთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც დღეს ამბობენ: „გაუმარჯოს ამერიკას!“, ხვალ კი იტყვიან: „გაუმარჯოს რუსეთს!“, ანუ მათი პოზიციები არამდგრადია და მუდმივად იცვლება იმისდა მიხედვით, თუ როგორ წარიმართება პროცესები საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე. ასეთი ადამიანები, რა თქმა უნდა, არ არიან სანდო და მათი იმედით ჩვენ, ბუნებრივია, ვერ ვიქნებით. თავის მხრივ, არც რუსეთის ხელმძღვანელობისთვისაა ხელსაყრელი ისეთი ხალხთან საუბარი, ვინც პოზიციებს წარამარა იცვლის – ხან ერთს აცხადებს, ხან – მეორეს.

– დასასრულ, ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზთა საგამოძიებო კომისიაზეც გკითხავთ. თქვენი აზრით, შეძლებს თუ არა ეს კომისია სიმართლის დადგენას და, საერთოდ, რამდენად მიზანშეწონილად მიგანიათ დღევანდელ ვითარებაში ამ გამოძიების ჩატარება?

– მე მესმის კოლეგის გამსახურდიას გულისტკივილი. ის ზვიადის შვილია და ცდილობს, ისე მოიქცეს, როგორც საჭიროა. მაგრამ მან ძალიან კარგად იცის სააკაშვილის ხასიათი. როცა ჩამოვიდა, ჯერ კიდევ მაშინ თქვა, სააკაშვილმა გადამაგლო... დღეს ხელისუფლებას სჭირდება ეს გამოძიება. ამით სააკაშვილი ეროვნული ძალების მოზიდვას ცდილობს და საზოგადოების თვალშიც ვითომ ეროვნულ საქმეს აკეთებს. სინამდვილეში კი, რა თქმა უნდა, სულ არ აინტერესებს, რას დაადგენს ეს კომისია; რომც დაადგინოს, რა მოჰყვება შედეგად? – არაფერი. რა მოჰყვა როსტომში ჩატარებულ ექსპერტიზას, რომელმაც დაამტკიცა, რომ ზვიად გამსახურდიას თავი კი არ მოუკლავს, არამედ იგი მოკლეს!

არაფერი! რად უნდა დიდი გამოძიება იმას, რომ გამსახურდია შეგარდნადიხა და მისი გარემოცვის ნებით დაამხეს და მოკლეს?

ეს არის სააკაშვილის დადგმული სპექტაკლი. და ამის ერთადერთი შედეგი მორიგი ტყუილი იქნება, ამიტომ, მოთქვამს და კვლავ ვიმეორებ, ნებისმიერი ადამიანი (პოლიტიკოსი თუ რიგითი მოქალაქე), ვინც სააკაშვილის სამსახურში ჩადგება, საქართველოს მტერია და ამ ქვეყნის მომავალს ანგრევს...

ესაუბრა ჯაბა ჟვანია.

„ალ-ქაიდა“ კოტრდება, „თალიბანის“ დაფინანსება კი იზრდება

ამერიკელი ექსპერტებისა დასკვნით, როცა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაცია „ალ-ქაიდას“ ფინანსური მდგომარეობა ცალსახად უარესდება, რადიკალური მოძრაობა „თალიბანი“ აყვავების ხანაშია.

აშშ ფინანსთა სამინისტროს დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ „თალიბანი“ ფულს ოპიუმის მომწოდებელ ავღანელ ფერმერებს სძლავს. გარდა ამისა, ექსპერტებისტები ბიზნესის „დაცვისთვის“ გადასახადს სთხოვენ ქვეყნის მოსახლეობას, რომელიც კანონიერ მწარმოებელს ეწვეა. ავღანეთში აშშ სპეციალური წარმომადგენლის – რიჩარდ პოლბრუკის განცხადებით, თალიბები მნიშვნელოვან თანხას ართმევენ

სპარსეთის ყურის ქვეყნებში მფობრებ კერძო პირებსაც.

ამასთან, ტერორისტები ჩაბმულნი არიან შემოსავლის შემომტან კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში. მაგალითად, მოძრაობა „ჰიზბალასის“ წევრები სიგარეტის კონტრაბანდას ეწევიან, ყიდის აუდიო და ვიდეოპროდუქციის, ასევე, კომპიუტერული პროგრამების ულტიმეტიუმი ასლებს.

როგორც კონფიდაციური წყაროების მიერ უკანონოდ მიღებული სახსრები უკვე ჩართულია მსოფლიო ფინანსურ სისტემაში. გარკვეული პერიოდით ადრე ავღანეთში „ISAF“-ის ჯარების მეთაური სტენლი მაკრისტალი ამბობდა, რომ უდიდესი ფინანსური ნაკადები, რითაც „თალიბანი“ სარგებლობს, მოკავშირეებს მათ მიმართ

წინააღმდეგობაში ხელს უშლის.

ამავე დროს, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, „ალ-ქაიდა“ საერთაშორისო არენაზე ლიდერის პოზიციებს კარგავს და ფინანსურ პრობლემებს განიცდის. მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში ორგანიზაციის ლიდერებმა ოთხჯერ მიმართეს სახალხოდ თანამოაზრეებს და მატერიალური დახმარება სთხოვეს. ექსპერტების აზრით, ამჟამად „ალ-ქაიდას“ ყველაზე სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს. როგორც ცნობილი გახდა, ჯერ კიდევ შემორჩენილ დამფინანსებლებს ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერებმა უკვე აცნობეს, რომ ფინანსური სირთულეები აუცილებლად აისახება მეტროპოლის მომზადების

დონეზე. მდიდარი სპონსორების მოძიების შემთხვევაში კი „ალ-ქაიდა“ სწრაფად დაიბრუნებს გაკლენას.

ორიოდ დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ ამერიკის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, ავღანეთში საკუთარი სამხედრო კონტინგენტის რიცხოვნობის მნიშვნელოვნად გაზრდა. მარტში აშშ პრეზიდენტი აცხადებდა, რომ ავღანეთში 21 ათას ამერიკელ ჯარისკაცს გაზავნის, ახლა იქ კიდევ 13 ათასს აგზავნიან.

ასე რომ, ავღანეთში ამერიკული კონტინგენტი სულ 34 ათასით გაიზრდება. სტენლი მაკრისტალი დაახლოებით 40 ათასს ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ამერიკის შეერთებული შტატების არნახული კრახი გარდაუვალად მიანდა.

ბაზეთი "ილორი" უძღვება რუმბიას "მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები"

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები იქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვიხიბლავდნენ თავიანთი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებელიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაულო სათავე სპორტის ამ უღამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო თაყვანობს. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოუვლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუმბიკა მინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი - ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუკამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "შემოდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონღოობითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.



შეიძლება ითქვას, რომ ჯორჯ ბესტი ინგლისის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი იყო. ამდენად, საწყენია, რომ მისი კარიერა მეტად ხანმოკლე იყო იმასთან შედარებით, რა შეიძლება ყოფილიყო. ამიტომაც დაარქვეს მას მეტსახელად "ჭირვეული გენიოსი", რომელიც ფეხბურთელისადვის უჩვეულოდ ტანდაბალი გახლდათ, მაგრამ, მარადონას მსგავსად მასაც ამოუწურავი საფეხბურთო არსენალი გააჩნდა. მისი ბურთიდან "გადაგდება" პრაქტიკულად გამორიცხული იყო, რადგამ მყარად ინარჩუნებდა წონასწორობას, უძლიერესად ურტყამდა ორივე ფეხით, ხტებოდა საოცრად მაღლა, იყო აბსოლუტურად ცივისსილიანი, მაშინაც კი არ გამოხატავდა ემოციას, როცა უღამაზეს გოლს გაიტანდა ხოლმე...

ბესტი ორჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი "მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში. 1968 წელს კი დაუფლავა ევროპის ჩემპიონთა თასს და, ამავე წელს, აღიარებული იქნა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად. სწორედ წრეს-გადასული დღეების გამო მიატოვა მან რამდენჯერმე დიდი ფეხბურთი, თუმცა კვლავ უბრუნდებოდა ხოლმე მოედანს. სამწუხაროა, ეს დიდი სპორტსმენი რამდენიმე წლის წინ დაავადდა ალკოჰოლიზმის მიმე ფორმით და გარდაიცვალა.

შრანც ბინდერი (ბიზნო)
დაიბადა 1911 წლის 1 დეკემბერს, ავსტრიაში. თამაშობდა ავსტრიის კლუბებში "სანკტ-პეტრინუს" და ვენის "რაიფში". ბინდერი უნივერსალური ფეხბურთელი გახლდათ,

რადგან იგი გამოდიოდა როგორც ცენტრფორვარდი და როგორც მარჯვენა ინსაიდერი. იგი ყველასაგან გამორჩეული ბომბარდირი იყო. დიდ ბრაზელიელ ფეხბურთელ პელემდე იგი გახლდათ ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც მაღალი ღონის მატჩებში გაიტანა ათასი გოლი. ბომბო 1950 წელს დაანება თავი აქტიურ ფეხბურთს და ვენის "რაიფის" მწვრთნელად დაინიშნა. სწორედ მაშინ გახდა ცნობილი, რომ მას 756 მატჩში ათასი გოლი გაუტანია.

ბინდერი მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების "რაიფის" უდიდესი ფეხბურთელი იყო. იგი ოცჯერ გამოვიდა ავსტრიის ნაკრების შემადგენლობაში, 1938 წლის ანშლუსის შემდეგ კი 9-ჯერ ითამაშა გერმანიის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში. ბინდერის ყველაზე შედეგიანი მატჩი გახლდათ "რაიფის" გამარჯვება "შალკესთან" 1941 წელს გამართულ დიდი გერმანიის ჩემპიონატში (4:3), სადაც მან სამი გოლი გაიტანა. როგორც მწვრთნელი, იგი სათავეში ედგა არა მხოლოდ ვენის "რაიფს", არამედ ავსტრიის საფეხბურთო ნაკრებსაც.

დანი ბლენფლავური
დაიბადა 1926 წლის 10 თებერვალს, ჩრდილოეთ ირლანდიაში.

თამაშობდა ინგლისის საფეხბურთო კლუბებში: "ბარნსლი", "ასტონ ვილა" და "ტოტენჰემი".

ტაქტიკურად მეტად ცბიერი ბლენფლავური ჩრდილოეთ-ირლანდიის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა 1958 წელს შეეცაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მისმა თავგანწირვამ და მონღოობებულმა თამაშმა აქცია "ტოტენჰემი" ინგლისის ერთ-ერთ უდიდეს საფეხბურთო კლუბად.

1958 წელს ამ კლუბმა "დუბლს" მიადწია, როცა მოიგო ინგლისის საფეხბურთო თასი და, ამავე დროს, დაეუფლა ევროპის თასის მფლობელთა თასსაც. ბლენფლავურის ინტელექტუალური სპორტული მონაცემები შესანიშნავად იყო შერწყმული მეორე გვერდითი ნახევარმცველის დეივ მაკკეივის უძლიერეს ფლანგურ გარღვევებთან. მაშინ, როცა ფეხბურთელები ნაკლებად ჩნდებოდნენ ტელეეკრანებზე, შეიძლება ითქვას, რომ ბლენფლავურს მუდამ ჯგროდ დასდევდნენ ტელეეკრანლისტები, რადგან მისი ყოველი ინტერვიუ იყო მაღალპროფესიული, ჭკუშარბიტებასთან ახლო მდგომი და საინტერესო. როგორც ეს ხშირად ემართებათ ხოლმე უძლიერეს ფეხბურთელებს, მისი სამწვრთნელო კარიერა "ჩელსიში" დიდად შედეგიანი არ გამოდგა. დანი ბლენფლავური გარდაიცვალა 1993 წელს.

გიორგი ჯალალანია

ჯორჯ ბესტი
დაიბადა 1946 წლის 22 მაისს, ჩრდილოეთ ირლანდიაში. თამაშობდა კლუბებში: "მანჩესტერ იუნაიტედი", "ფულჰემი" (ინგლისი), "პაიბერნიანი" (შოტლანდია), "ტამპა-ბერი-რაულიზი" (აშშ).

იჯარა

- ბუში თავის შვილთან ერთად მელიტ თავზე დასივრნობს: - შვილო, შენხელა რომ ვიყავი, აქ უღრანი ტყე იყო...
* * *
გურული ქალის ფილოსოფია: - გათხოვება მხოლოდ იმიზა ღირს, ნენა, რომ გეიგო, რატომ არ ღირს გათხოვება!
* * *
კაცი მკითხავთან მივიდა. მკითხავმა ბანქოში ჩაიხედა და ეუბნება: - ვაიმე, დიდი უბედურება გელოდება, ორ დღეში ცოლი მოგიკვდებათ! - ვე ვიცი, შენ ის მითხარი, და მიჭერენ თუ არა...
* * *
წიგნის ბაზრობაზე მყიდველი მკითხება გამყიდველს: - რა ღირს ეს წიგნები? - ერთი, 25 ლარი, მეორე კი - 50 ლარი. - კი მაგრამ, ისინი ხომ ზუსტად ერთნაირები არიან, რაშია განსხვავება? - ფასში, ბატონო, ფასში!
* * *
მარო მიხოს მკითხება: - მრავალფეროვნება რასა ნიშნავს? - ეს ნიშნავს მყვალასა, კლიკოსა, მერისა... - გასაგებია, ესე იგი - მიტუაი, ზაქროი, პეტაი... - ქალო, შენა მრავალფეროვნებასა ბოზობაში ნუ ურევ...

ჩაი, თხილი თუ ჭყინტი სიმიონდი?


უკვე დიდი ხანია, ჩაი და ციტრუსი სამეგრელოს მოსახლეობის მარჩენალი აღარ არის, ამიტომაც ხალხმა ინტერესი დაკარგა და მთელი ყურადღება თხილზე გადაიტანა. გარკვეული დროის განმავლობაში თხილმა ჩაანაცვლა კიდევ ჩაი და ციტრუსი, თუმცა ამჟამად აღარც ისაა მომგებიანი. ახლა სამეგრელოში თხილის პლანტაციების გაშენების ბუშია; შენდება ყველგან - სახნავ-სათეს თუ ნაჩაიარ ფართობებზე, რამაც სიმინდის მარცვლის წარმოების შეამცირა და, შესაბამისად, კატასტროფულად გაზარდა მისი საბაზრო ღირებულება. ზუგდიდის ბაზრებში სიმინდის შარშანდელი მოსავალი უკვე აღარსადაა, ხოლო წლეგანდელი, ჯერ კიდევ ჭყინტი მარცვალი, ფუთი 17-18 ლარი ღირს. სამწუხაროდ, განადგურებულია ჩაის კულტურაც, დღემდე დარჩენილი ფართობები კი მოუფლელობის გამო გაველეშერებულია. არადა, მარტო ზუგდიდის რაიონში მთლიანი შემოსავლის 80% მეჩაიეობაზე მოდიოდა და ამ დარგში 25 000-ზე მეტი ადამიანი იყო დასაქმებული. ამ სფეროში შექმნილი სავალალო მდგომარეობის გამო ისინი უმუშევრად დარჩნენ. ქართული ჩაის გადარჩენის პერსპექტივებზე თავიანთ მო-

საზრებებს გვიზიარებენ ამ დარგის პროფესიონალი სპეციალისტები: ვაჟა ფიფია, გენო თოდუა და თამაზ ცანავა. ვაშა შიშია, ექსპერტი მეჩაიეობის დარგში: მეჩაიეობაში და ჩაის მრეწველობაში განხორციელებულმა პრივატიზაციამ სასურველი შედეგი ვერ მოგვცა, რადგან სახელმწიფოს მხრიდან მიღებული ფინანსური დახმარების გარეშე მეჩაიეობის დარგის მოლიანად აღდგენა შეუძლებელია. თურმე მეჩაიეობის არცერთ ქვეყანაში ეს დარგი ღიბერალური საბაზრო პრინციპების გამოყენებით არ იმართება. ქვეყნის ბაზარი გაჯერებულია უცხოური დაბალი ხარისხის ჩაის პროდუქციით, ხოლო ჩვენი მეჩაიეები უსახსრობის გამო ვერაფერს აკეთებენ. სანამ სულ არ გადააშენებულა ჩაის კულტურა, მდგომარეობის სასიკეთოდ შემობრუნება ნაწილობრივ მაინც შეიძლება, რისთვისაც აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ვენახთან ერთად ჩაის კულტურის მიმართაც გამოაფინონ სახელმწიფოებრივი პოზიცია და მეჩაიეობის რაიონებისთვის პრიორიტეტად აღიარონ. ბენო თოდუა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: მეჩაიეობის აღდგე-

ნისა და დარგის გადარჩენისათვის სახელმწიფოს მხრიდან დახმარება აუცილებელია. სწორედ სახელმწიფომ უნდა იტვირთოს ახალი ტექნოლოგიების შემუშავება, რათა ჩვენმა ჩაიმ დააკმაყოფილოს საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნილებები. თამაზ ცანავა, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროფესორი: ჩემი საქმიანობა დაკავშირებული იყო ჩაის კულტურასთან, მისი მექანიზაციის ღონის ამაღლებასთან, მოსავლიანობის გაზრდასთან. ამჟამად ჩაი კერძო სექტორის საკუთრებაა, მაგრამ უსახსრობის გამო ძნელია მისი მოვლა-პატრონობა. ჩვენ, დარგის

სპეციალისტებს, გვაქვს წინადადება, რომელიც შესაძლებელს გახდის მეჩაიეობის აღორძინებას. ჩაის ფართობი 3-დან 5-ჰექტრამდე უნდა გადაეცეს ფერმერულ მეურნეობებს, რომლებიც მოკრეფილ ჩაის ფოთოლს თავიანთ პლანტაციებთან ახლოს აგებულ ჩაის მინიფაბრიკებში გადაამუშავებენ. ასეთი მინიფაბრიკა 50 000 ლარამდე დაჯდება. ეს თანხა მათ 4-5-წლიანი კრედიტის სახით სახელმწიფომ უნდა გამოუყოს. ფერმერები გარკვეული ვადით უნდა გათავისუფლდნენ გადასახადებისგანაც.

ლადო ქირია ზუგდიდი



Barcode with ISSN 9771987896009 and text: ავტორებს ეპისტოვით პასუხისმგებლობა უმტკბონსა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ხანდუკელის ქუჩა №1 სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანია მთ. რედაქტორის მოაღბილე: დავით ქობალია ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოღრიშვილი ბაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

www ilori.ge e-mail: elisabetthal@yahoo.de რეკლამის განთავსება 893-51-01-71 899-34-37-27